„არა-ფობიას!“

სპეციალური ანგარიში

„თანასწორობის პოლიტიკა საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ფონზე“

USAID ამერიკელი ხალხისგან

unag

ქარ ფობიას! NOTOPHOBIA!

თანასწორობის პოლიტიკა საქართველოში სიძულვილით მოტივირებული
დანაშაულების ფონზე

სამოქალაქო პლატფორმა „ახა-ფობიას!“

სპეციალური ანგარიში

ანგარიში მომზადდა სამოქალაქო პლატფორმა „არა-ფობიას!“ მიერ, USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ანგარიშის მომზადებაზე მუშაობდნენ შემდეგი ორგანიზაციები:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

თანასწორობის მოძრაობა

დეკემბერი 2023

სარჩევი

შესავალი 5

რეკომენდაციები 6

მედიის/ჟურნალისტების მიმართ, ჟურნალისტური საქმიანობის გამო ჩადენილი დანაშაულები 7

პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით ჩადენილი დანაშაულები 13

ლგბტქი თემის მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები 16

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება და რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები 21

დასკვნა 29

შესავალი

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფის დევნა საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით გამოჩნდა 2021 წლის 5 ივლისის მოვლენების დროს და შემდგომ, რამაც ლოგიკური ასახვა ჰპოვა ევროკავშირის გაცემულ 12 პრიორიტეტშიც. ამ 12 პრიორიტეტიდან სამი სწორედ კონკრეტული ჯგუფების - მედიის/ჟურნალისტების, ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების დაცვას ეხება. მათში საუბარია მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების საჭიროებაზე.[1] ევროპული კომისიის შეფასებით, მედიასა და მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებული პრიორიტეტები ბოლომდე ჯერ არ შესრულებულა.[2] შესაბამისად, ეს საკითხები ჯერ კიდევ აქტუალურია და მათზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებისთვის და შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად.

სწორედ ამიტომ, სამოქალაქო პლატფორმამ, „არა-ფობიას!“, გადაწყვიტა, რომ შეემუშავებინა სპეციალური ანგარიში, სადაც ასახული იქნებოდა სახელმწიფოს პოლიტიკა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმ ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლებზეც პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მუშაობენ და, რომელთაც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა სტატისტიკაში მოწინავე პოზიციები უკავიათ. ეს ჯგუფებია: მედიის წარმომადგენლები/ჟურნალისტები, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების მქონე ადამიანები, ლგბტქი+ ადამიანები და რელიგიური უმცირესობები. ამავე დროს, ზოგიერთ ნაწილში, ანგარიშში, კონტექსტისა და პრობლემათა მასშტაბის უკეთესად წარმოსაჩენად, საუბარია თითოეული ამ ჯგუფის ზოგად უფლებრივ მდგომარეობაზეც.

ანგარიში ძირითადად ეფუძნება 2021-2022 წლებსა და 2023 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე მოვლენების ანალიზს და ეყრდნობა სამოქალაქო პლატფორმა „არა-ფობიას!“ ორგანიზაციების წარმოებაში არსებული საქმეების შეფასებას, მათ ანგარიშებს, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებულ პასუხებს, ასევე, საჯაროდ ხელმისაწვდომ სხვა ინფორმაციას და სტატისტიკას.

ანგარიშის მომზადებაზე მუშაობდნენ შემდეგი ორგანიზაციები: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და თანასწორობის მოძრაობა.

1 Opinion on the EU membership application by Georgia, available at: ***https://tinyurl.com/drw7fe3a*** [last accessed 10.11.2023].

2 Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, page 11, available at: ***https://tinyurl.com/3rdpyfpm*** [last accessed 10.11.2023].

რეკომენდაციები

საგამოძიებო უწყებებს:

- *სიძულვილით მოტივირებული სავარაუდო დანაშაულები გამოიძიონ ეფექტიანად, მათ შორის, გააუმჯობესონ ბრალის წარდგენის და პირთა დაზარალებულად ცნობის პრაქტიკა და დანაშაულის კვალიფიცირებისას გამოიყენონ სპეციალური მუხლი დისკრიმინაციული/შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთით;*

- *გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანად წარმართვის გზით, გამოავლინონ სიძულვილით მოტივირებულ სავარაუდო დანაშაულებზე ყველა პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, ორგანიზატორები;*

- *სათანადოდ გამოიძიონ მასშტაბური სავარაუდო უკანონო თვალთვალისა და მიყურადების ფაქტები და პასუხისგებაში მისცენ ყველა დამნაშავე პირი.*

უზენაეს სასამართლოს, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- *გააუმჯობესონ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოება, მათ შორის, უფრო სრულყოფილი და ჩაშლილი მონაცემების ასახვით.*

საქართველოს მთავრობას:

- *ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში ასახოს ლგბტქი+ თემის წინაშე არსებული გამოწვევები და დასახოს მათ გადასაჭრელად ამოცანები, აქტივობები და შესაბამისი ინდიკატორები;*

- *ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში სათანადო ყურადღება დაუთმოს მედიაეკოსისტემის სიტუაციურ ანალიზს და შესაბამისი ღონისძიებებით თავიდან აირიდოს მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ძალადობა;*

- *ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში უზრუნველყოს ყველა რელევანტური/დაინტერესებული მხარის ჯეროვანი ჩართულობა და მათი მოსაზრებების გათვალისწინება;*

- *შეიმუშაოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე პრევენციისა და რეაგირების ერთიანი სტრატეგია/პოლიტიკა ყველა რელევანტური/დაინტერესებული მხარის ჯეროვანი ჩართულობით და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით.*

საქართველოს მთავრობას და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- *დაიწყოს მუშაობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისთვის სპეციალიზებული მანდატის მქონე საგამოძიებო უწყების შექმნაზე;*

- *დანერგოს და განავითაროს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული მხარდაჭერის სერვისები;*

საქართველოს ხელისუფლებას/ხელისუფლების წარმომადგენლებს:

- *საჯაროდ მკაცრად დაგმონ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის შემთხვევები, საჯაროდ მხარი დაუჭირონ ყველა ადამიანის თანასწორობის პატივისცემას და თავად არ გაატარონ დისკრიმინაციის ხელშემწყობი რიტორიკა.*

მედიის/ჟურნალისტების მიმართ, ჟურნალისტური საქმიანობის გამო ჩადენილი დანაშაულები

1.1. შესავალი

ბოლო წლებში, საქართველოში ე.წ. კრიტიკული მედიის წარმომადგენლების ფიზიკური უსაფრთხოების მხრივ, მდგომარეობა გაუარესებულია. მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების საგამოძიებო პროცესი უმეტესწილად მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება, რაც, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო წყაროებითაც დასტურდება. კერძოდ, 2022 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნებულ დასკვნით დაკვირვებებში, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს გამოხატვის თავისუფლებაში მომეტებული ჩარევის ფაქტების, მათ შორის, ბოლო წლებში ჟურნალისტებზე მუქარის, დაშინების, შევიწროებისა და თავდასხმების რაოდენობის მკვეთრი მატების გამო, რასთან დაკავშირებითაც, კომიტეტი მიუთითებს, რომ ხელისუფლება არ იჩენს არსებით ნებას ამ ქმედებების დასასჯელად.[3] ამის საპირისპიროდ, ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ძალადობის კატალიზატორის როლს ასრულებენ. ამას ადასტურებს საერთაშორისო წყაროებიც. მაგალითად, Freedom House-ის 2023 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, დამოუკიდებელი მედიის კლასიფიკატორში მდგომარეობა გაუარესდა, რისი მიზეზიც საქართველოში კრიტიკული ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და შევიწროების ტენდენციაც გახდა.[4]

ძალადობის წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის არქონას, და ამის საპირისპირო, ძალადობის წამახალისებელ პრაქტიკებს, მათ შორის, მოძალადეების დაუსჯელობას/არასათანადო დასჯას, საზიანო ეფექტი აქვს მედიის თავისუფლების ხარისხზე. პრაქტიკული თვალსაზრისით, ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანიც იქნებოდა ჟურნალისტების, როგორც ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფის, წინააღმდეგ ძალადობის პრევენცია და აღკვეთა. სპეციალური პოლიტიკის დოკუმენტის არარსებობა იწვევს პრევენციული და აღმკვეთი ღონისძიებების უსისტემობას და არაეფექტიანობას, რაც აბრკოლებს მედიის წარმომადგენლების მიმართ მათი საქმიანობის გამო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან გამკლავებას. ქვემოთ მიმოხილულია ქვეყანაში არსებული მედიაგარემო, მედიის წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა და ის ძირითადი გამოწვევები მედიის თავისუფლების კუთხით, რომლებიც ხელს უწყობს ზემოხსენებული დანაშაულების წახალისებას.

---

3 HRC, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5, 13.09.2022, para 43 (b).

4 საქართველოს შეფასება FREEDOM HOUSE-ის ანგარიშის მიხედვით - მდგომარეობა გაუარესებულია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 24.05.23, იხ.: ***https://bit.ly/48Et5sx,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

1.2. აგრესიული რიტორიკა მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ

ხელისუფლებას აქვს პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყოს შემრიგებლურ და ტოლერანტულ პოლიტიკას, რათა თავიდან აირიდოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები. სახელმწიფოს წარმომადგენლების განცხადებებმა არ უნდა წაახალისოს ძალადობა არცერთი ჯგუფის, მათ შორის, მედიის წარმომადგენლების მიმართ.[5] ამის საპირისპიროდ, ხელისუფლების წარმომადგენლები და რელიგიური ლიდერები ხშირად მიმართავენ კრიტიკულ მედიას აგრესიული რიტორიკით.[6] ჟურნალისტთა საქმიანობის შესრულებას ხელს უშლის სიტყვიერი თავდასხმები და ზეწოლის მცდელობები კრიტიკული მედიის მფლობელებზე, ჟურნალისტებსა თუ დამოუკიდებელ ონლაინ მედიასაშუალებებზე. ასეთი ქმედებების მიზანია, საზოგადოებას შეეზღუდოს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

მედიის წარმომადგენლების შევიწროების მცდელობების საილუსტრაციოდ, იხილეთ:

- *პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის თავდასხმები „მთის ამბების“[7] წინააღმდეგ, ასევე, OC Media-ს წინააღმდეგ;[8]*
- *საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, მამუკა მდინარაძის აგრესიული დამოკიდებულება „TV პირველის“ ჟურნალისტის მიმართ;[9]*
- *ქართული ოცნების თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის აგრესიული დამოკიდებულება და რიტორიკა ჟურნალისტების მიმართ „ქართული ოცნების“ ბრიფინგზე;[10]*
- *თბილისის მერის, კახა კალაძის შეურაცხმყოფელი პასუხი „მთავარი არხის“ ჟურნალისტის შეკითხვაზე.[11]*

---

5 იხ.: Positive obligations of member states To protect journalists and freedom of expression. COE, 01.06.2018, იხ.: ***https://bit.ly/3RHHJZQ,*** [ბოლოს ნანახია 19.10.2023].

6 საია, [ფეისბუკის გვერდი], 09.05.2021, „მედია ადვოკატირების კოალიცია გმობს სასულიერო პირების მიერ ჟურნალისტებზე თავდასხმებს“, იხ.: ***https://bit.ly/3rlkX76*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

7 მედიის ადვოკატირების კოალიცია ეხმაურება მედიაგარემოს გაუარესების საგანგაშო შემთხვევებს, 14.09.23, იხ.: ***https://bit.ly/3PErrhF,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023]; შალვა პაპუაშვილი „მთის ამბების“ რედაქტორს თვითგამოცხადებულ ჟურნალისტს უწოდებს, იხ.: ***https://tinyurl.com/mr2aetxk*** [ბოლოს ნანახია 19.10.2023].

8 მედიის ადვოკატირების კოალიცია ეხმაურება მედიაგარემოს გაუარესების საგანგაშო შემთხვევებს, 14.09.23, იხ.: ***https://bit.ly/3ZLtJjQ,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023]; Speaker of Georgian parliament pressured OC Media's donors after failure to place op-ed, available at: ***https://tinyurl.com/2s4hhkfd*** [last accessed 06.11.2023].

9 ქარტია მოითხოვს, შეწყვიტოს ხელისუფლებამ მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიული რიტორიკა. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 24.06.22, იხ.: https://bit.ly/3PEPpJR, [ბოლოს ნანახია 02.10.2023]; „გაგიჟებული ხარ... დაკარგე ადამიანური სახე“ — მდინარაძის დაპირისპირება ჟურნალისტთან, იხ.: ***https://netgazeti.ge/news/617586/*** [ბოლოს ნანახია 19.10.2023].

10 ქარტია მოუწოდებს პოლიტიკოსებს, შეწყვიტონ ჟურნალისტებზე თავდასხმა და ნუ ახალისებენ ძალადობასა და აგრესიას, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 08.07.22, იხ.: ***https://bit.ly/45mVGQ7,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023]; „თქვენი ტელევიზია არის FSB-ს აგენტი... თენგო გოგოტიშვილმა დაპოსტა და პირდაპირ მოგვიწოდა ომში ჩართვისკენ“ | კობახიძე „მთავარ არხს“, ხელმისაწვდომია: ***https://tinyurl.com/3ae4whsa*** [ბოლოს ნანახია 19.10.2023].

11 კახა კალაძე ჟურნალისტის „უბინძურეს“ ადამიანად მოხსენიებისთვის კრიტიკის ობიექტი გახდა, 29.02.21, იხ.: ***https://bit.ly/3LS51bE,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

კრიტიკული მედიის წარმომადგენლების შევიწროება, ასევე მიმდინარეობს სხვადასხვა კამპანიის მეშვეობით. კერძოდ:

- ***მაგალითი 1:*** *2023 წლის 16 იანვარს, „მთავარი არხის“ საინფორმაციო სამსახურის მთავარი პროდიუსერი, თეა გილიგაშვილი, პარლამენტიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გამო დეზინფორმაციული კამპანიის მსხვერპლი გახდა. თეა გილიგაშვილმა პარლამენტიდან კანონით დადგენილი ფორმით გამოითხოვა ინფორმაცია ხარჯების თაობაზე და იკითხა, რა სახსრებით გაემგზავრნენ მმართველი პარტიის წევრები იტალიაში, ხვიჩა კვარაცხელიას საფეხბურთო მატჩზე დასასწრებად და ვინ დააფინანსა მათი მოგზაურობა. საქართველოს პარლამენტისთვის გაგზავნილი წერილი მალევე მმართველ პარტია „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებულმა Facebook გვერდმა, „სინამდვილეში“, გამოაქვეყნა და გილიგაშვილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გამო ხელისუფლების „დისკრედიტაციის მცდელობაში“ დაადანაშაულა.*[12]

- ***მაგალითი 2:*** *მმართველი პარტიის წარმომადგენლები და პროსამთავრობო მედია აქტიურად ავრცელებდნენ „პალიტრა მედიის“ წინააღმდეგ მიზანმიმართულ დისკრედიტაციის კამპანიას. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის განცხადებამდე,*[13] *„პალიტრა მედიას“ წინააღმდეგ უსაფუძვლო ბრალდებები ერთ-ერთ საინფორმაციო გვერდზე გავრცელდა,*[14] *რასაც მმართველი პარტიის ხელმძღვანელი პირების განცხადებები მოჰყვა.*[15] *ეს გარემოება მიანიშნებს, რომ კამპანია მიზანმიმართული და ორგანიზებული იყო, ხოლო მის სამიზნეს „პალიტრა მედია“ წარმოადგენდა.*[16]

1.3. ფიზიკური თავდასხმები ჟურნალისტებზე და მათი გამოძიების ეფექტიანობა

მედიის წარმომადგენლების ფიზიკური უსაფრთხოება ფუნდამენტურია დამოუკიდებელი და პლურალისტური მედიის შექმნისა და შენარჩუნებისთვის. მიუხედავად ამისა, ხშირია კრიტიკული მედიის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის, მათ პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევის შემთხვევები.[17] საჯაროდ გავრცელებული წყაროები ხშირად მოწმობს კრიტიკული მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის ფაქტებს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

---

12 მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუკის გვერდი], 31.01.23, მედიის ადვოკატირების კოალიცია მედიის წინააღმდეგ წარმოებულ დისკრედიტაციის კამპანიას ეხმიანება, იხ.: ***https://bit.ly/3ZAI6r7,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

13 ირაკლი კობახიძე: „პალიტრა მედია“ გახდა კეზერაშვილის მეორე ტელევიზია, 28.03.2023, იხ.: ***https://rb.gy/odaz*** [ბოლოს ნანახია 06.11.2023].

14 კეზერაშვილი „პალიტრა მედიას“ აფინანსებს, www.ongo.ge, 27.03.2023, იხ.: ***https://rb.gy/jxev*** [ბოლოს ნანახია 06.11.2023].

15 მამუკა მდინარაძე: შეიძლება ყველას ვერ დავაბრალო, მაგრამ „პალიტრა მედიის“ ზოგიერთი წარმომადგენელი მკვეთრად იყო გადახრილი იმ ტრენდისა და ნარატივისკენ, რასაც ნაცმოძრაობა მესიჯების სახით ახმოვანებდა ხოლმე, ტელეკომპანია „იმედი“, 28.03.2023, ***https://rb.gy/ce8z*** [ბოლოს ნანახია 06.11.2023].

16 მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუკის გვერდი], 29.03.23, მედიის ადვოკატირების კოალიცია გმობს „პალიტრა მედიის“ წინააღმდეგ ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კამპანიას იხ.: ***https://bit.ly/46uHOEm,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

17 მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუკის გვერდი], 12.04.2022, „მედია ადვოკატირების კოალიცია ეხმაურება ფორმულა TV-ს თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტებს“, იხ.: ***https://bit.ly/3ovTFyI,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023]. მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუკის გვერდი], 19.11.2021, მედია ადვოკატირების კოალიცია „შემაშფოთებლად მიიჩნევს საქართველოში კიდევ ერთი უკრაინელი ჟურნალისტის უფლებების შეზღუდვას“, იხ.: ***https://bit.ly/31FBiyG,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

- ***მაგალითი 1:*** *2023 წლის 26 აგვისტოს, მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაიშში, „მთავარი არხის“ ჟურნალისტს, ემა გოგოხიასა და მის ოპერატორს თავს დაესხნენ. თავდამსხმელებმა მედიის წარმომადგენლებს კამერა, მიკროფონი, გადამცემი და პირადი ტელეფონი წაართვეს. ასევე მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.[18]*

- ***მაგალითი 2:*** *არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტები მსხვერპლნი არიან მათი პირადი და სამსახურებრივი ქონების განადგურების ან ქურდობის (ვასილ დაბრუნდაშვილის[19] და ნოდარ მელაძის შემთხვევები[20]).*

- ***მაგალითი 3:*** *მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტელეკომპანია „ფორმულას“ თანადამფუძნებელსა და წამყვანზე, მიშა მშვილდაძეზე ფიზიკური თავდასხმის ფაქტიც.[21] სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქმე უშედეგოდ დაასრულა, დაზარალებულს არ მიაწოდა საქმეში არსებული ვიდეოკადრები და უგულებელყო ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ ჟურნალისტური გამოძიების დროს აღმოჩენილი მტკიცებულებები.[22] თავდასხმაში ასევე იკვეთებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობა,[23] თუმცა ამ ფაქტს სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია.*

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი კრძალავს ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 154-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პროკურატურიდან და სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. 2020 წელს პოლიციამ გამოძიება შვიდ საქმეზე, ხოლო ორ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. 2021 წელს პოლიციამ გამოძიება 13 საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა 63 საქმეზე დაიწყო. 2022 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით, პოლიციამ რვა საქმეზე დაიწყო გამოძიება, ხოლო ოთხ საქმეზე დევნა. სასამართლოები არ აწარმოებენ სტატისტიკას 154-ე მუხლის შესახებ.[24] ამის გამო, შეუძლებელია სრულად დადგინდეს, თუ რა რეაგირება მოჰყვება მომხდარ ფაქტს სახელმწიფოს მხრიდან.

---

18 კოალიცია ეხმიანება „მთავარი არხის“ ჟურნალისტსა და ოპერატორზე თავდასხმის ფაქტს. 26.07.23. იხ.: ***https://bit.ly/3PYO2Xx,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

19 კოალიცია მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაიცვას ჟურნალისტ ვასილ დაბრუნდაშვილის პირადი უსაფრთხოება, 13.07.23, იხ.: ***https://bit.ly/48DrDqg,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

20 მედიის ადვოკატირების კოალიცია გმობს ნოდარ მელაძის გაქურდვის ფაქტს, 13.07.23, იხ.: ***https://bit.ly/3PwZjNu,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

21 მედია ადვოკატირების კოალიცია ტელეკომპანია „ფორმულას“ თანადამფუძნებელსა და წამყვანზე, მიშა მშვილდაძეზე თავდასხმის ფაქტს ეხმიანება, იხ.: ***http://mediacoalition.ge/ge/a/f14d4533*** [ბოლოს ნანახია 06.11.2023].

22 Civil.ge, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიშა მშვილდაძის საქმე დახურა, 12.09.23, იხ.: ***https://bit.ly/46e08ll,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

23 „მშვილდაძეზე თავდასხმაში სუსის თანამშრომელი მონაწილეობდა“ - რა უპასუხა „ფორმულას“ უწყებამ, „რადიო თავისუფლება“, 05.07.23, იხ.: ***https://bit.ly/46FU70z*** [ბოლოს ნანახია 06.11.2023].

24 საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალური წერილი №13/47155.

არაეფექტიანი გამოძიების მაგალითად შეიძლება დასახელდეს 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენების შემდგომი გამოძიება და სასამართლო განაჩენები.[25] ამ საქმეზე, რიგ შემთხვევაში, ჟურნალისტების წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენი პირები არასრულად ან ვერ გამოვლინდნენ.[26] გარდა ამისა, საჯარო წყაროებში ხელმისაწვდომი მტკიცებულებების მიუხედავად[27], ძალადობის არცერთი ორგანიზატორისთვის ბრალი არ წაუყენებიათ, ამასთანავე, საერთოდ რეაგირების გარეშეა დატოვებული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი. ამ დრომდე უცნობია, დაიწყო თუ არა გამოძიება ტვ „პირველის" ეთერში 2022 წლის 12 ივნისს გასული სიუჟეტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებში სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომლების შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებები იკვეთებოდა.[28]

საგანგაშოა, რომ იმავე სიძულვილის ჯგუფებმა, რომელთა ორგანიზატორებიც 2021 წლის 5 ივლისის ძალადობისთვის უნდა დასჯილიყვნენ, 2023 წლის 8 ივლისს ჩაშალეს თბილისი პრაიდის ფესტივალი და კვლავ დაესხნენ თავს მედიის წარმომადგენლებს. ამ შემთხვევის შესწავლა დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა.[29]

1.4. მედიის წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა დემონსტრაციების დროს

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" ინიცირებული კანონპროექტის წინააღმდეგ მიმდინარე ლეგიტიმური პროტესტის დროს, მედიის წარმომადგენლებს განზრახ შეეზღუდათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულება და კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა. ეს გამოიხატა კრიტიკული მედიის ჟურნალისტების მიმართ როგორც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში, ისე ჟურნალისტების წინააღმდეგ აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებასა და მათ ადმინისტრაციული წესით დაკავებაში.[30] აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ძალადობრივ ქმედებებს მიმართეს უმეტესად კრიტიკული მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ,[31] მათ შორის, მედიის 21 წარმომადგენლის მიმართ გამოვლინდა მკვეთრად გამოხატული დანაშაულის ნიშნები.[32]

---

25 საია 5-6 ივლისის მოვლენების შედეგად დაზარალებული მედიის წარმომადგენლების სახელით ევროსასამართლოს მიმართავს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი. 07.11.2022, იხ.: ***https://bit.ly/3Urfvkr,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

26 იქვე.

27 იქვე. იხილეთ აგრეთვე: მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუკის გვერდი], მედია ადვოკატირების კოალიცია საგანგაშოდ მიიჩნევს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 5 ივლისის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, იხ.: ***https://bit.ly/3mNHr6k,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

28 2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენები ამ დრომდე სათანადოდ არ არის გამოძიებული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 05.08.23, იხ.: ***https://bit.ly/44Z4hZM***, [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

29 მედიის ადვოკატირების კოალიცია გმობს მედიის წარმომადგენელთა უფლებების დარღვევას, 08.06.23, იხ.: ***https://bit.ly/3ZTLQEp,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

30 მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუკის გვერდი], 13.03.2023, მედია ადვოკატირების კოალიცია მიმართავს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და სხვა დარღვევების თაობაზე, იხ.: ***https://bit.ly/3JxaRNV,*** [ბოლოს ნანახია 02.10.2023].

31 საია, ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ - 7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება, 2023, 41, იხ.: ***https://shorturl.at/efnyQ,*** [ბოლოს ნანახია 02.11.2023].

32 იქვე., ციტ. : ა(ა)იპ „მედია ომბუდსმენის" მეორე ანგარიში, არა რუსულ კანონს, ავტორი: ნათია კაპანაძე, 2023, 11.

1.5. ჟურნალისტებზე ძალადობის პრევენციის პოლიტიკა

ევროპის საბჭოს CM/Rec2016(4) რეკომენდაციის მიხედვით, ყველა ქვეყანამ უნდა შექმნას და განახორციელოს ჟურნალისტების და მედიის სხვა წარმომადგენლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმები.[33] 2023 წლის მარტიდან ძალაშია ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022–2030 წლებისთვის, თუმცა მიღებული დოკუმენტი არის ზოგადი და არ მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს მედიის წარმომადგენლების წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად. მართალია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია 2023 წლის 31 ოქტომბერს გადმოეგზავნათ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველადი სამუშაო ვერსია, რომელიც სრულყოფილად არ ფარავს ყველა საკვანძო თემას. გარდა ამისა, უცნობია ისიც, ანგარიშის მომზადების დროისთვის, როგორი იქნება მისი მიღების ფორმატი, ვადები და საკითხები, რომლებიც მასში აისახება.

33 Recommendation CM/Rec(2016)4 of the Committee of Ministers to member States on the protection of journalism and safety of journalists and other media actors, available at: ***https://bit.ly/3ZCiLNi,*** [last accessed 02.10.2023].

პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით ჩადენილი დანაშაულები

2.1. შესავალი

საქართველოში ავტორიტარიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნების უფრო გამოკვეთისა და დემოკრატიის ხარისხის გაუარესების კვალდაკვალ,[34] აქტუალური პრობლემაა პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ის შემთხვევები, სადაც იკვეთება სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების სავარაუდო მონაწილეობა. სამწუხაროდ, საგამოძიებო უწყებების არასათანადო დამოუკიდებლობის პირობებში, არ ხდება დანაშაულების ეფექტიანად გამოძიება და ყველა პასუხისმგებელი პირის გამოვლენა, დასჯა. გამოძიების ხარვეზებს შორის, აღსანიშნავია შემთხვევების დასაკვალიფიცირებლად სპეციალური მუხლის გამოუყენებლობა და შეუწყნარებლობის მოტივის დაუდგენლობა. გამოძიების არაეფექტიანობის ფონზე, თავის მხრივ, გამოწვევაა მთლიანი პრობლემის მასშტაბის დანახვა და სრულყოფილი სტატისტიკური აღრიცხვა. წინამდებარე ქვეთავში განხილულია პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებთან ბრძოლის გამოწვევები და მათი საილუსტრაციო შემთხვევები.

2.2. სტატისტიკა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი აწარმოებს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკას. სტატისტიკაში ცალკე მითითებულია პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებიც.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოებული სტატისტიკის თანახმად, 2021 წელს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 834 პირის მიმართ. პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ნიშნით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიყო 10 პირის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებელი მთლიანი მაჩვენებლის მხოლოდ 1.199%-ს წარმოადგენს.[35] რაც შეეხება 2022 წლის სტატისტიკას, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1172 პირის მიმართ. 2022 წელს პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებელი მთლიანი მაჩვენებლის მხოლოდ 0.256%-ს შეადგენს.[36]

ზემოხსენებული სტატისტიკის თანახმად, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ნიშნით ჩადენილი დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წილი ზოგადად დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს შორის ძალიან მცირეა. ეს შესაძლებელია განპირობებული იყოს გამოძიების არაეფექტიანობითა და დისკრიმინაციული მოტივის არგამოკვეთით, რის საილუსტრაციოდაც მომდევნო ქვეთავში განხილულია რამდენიმე საქმე.

---

34 Freedom House, Nations in Transit — Georgia Country Report 2023, available at: ***https://tinyurl.com/26hraeey*** [last accessed 14.11.2023].

35 საქართველოს გენერალური პროკურატურა, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ანალიზი, 2021 წელი, იხ.: ***https://tinyurl.com/sxrb6spu*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

36 საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი, 2022 წელი, იხ.: ***https://tinyurl.com/4539pv3t*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

2.3. პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიება

როგორც უკვე ითქვა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ეფექტიანად გამოძიება და ხსენებული მოტივის გამოკვეთა სერიოზული გამოწვევაა. ამ პრობლემაზე მიუთითებს, მაგალითად, ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ნიკა მოსიაშვილის საქმე.[37] კერძოდ, საქმე ეხება 2023 წლის 7 მარტს სპეცრაზმის მიერ ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ნიკა მოსიაშვილის უკანონოდ დაკავებას და მათ მიმართ არაადამიანურად მოპყრობას.[38] შედეგად, ვერცერთმა ვეღარ შეძლო საპროტესტო აქციაში მონაწილეობის გაგრძელება, მათ მიიღეს ჯანმრთელობის დაზიანებები, რასაც ადასტურებს სამედიცინო დოკუმენტაცია. ამასთანავე, არსებობს არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა, რომელიც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსაც ამოღებული აქვს. ამ საქმეზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიება მიმდინარეობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. აღსანიშნავია, რომ ადვოკატმა მოითხოვა ნიკა მოსიაშვილისა და ზურაბ გირჩი ჯაფარიძის დაზარალებულად ცნობა, საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლა და დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა. ადვოკატის მოთხოვნით, გამოძიება უნდა გაგრძელებულიყო სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილის დ) ე) და ვ) პუნქტებით, ვინაიდან ვიდეომასალის ანალიზით, ასევე მოწმეების ჩვენებით, იკვეთებოდა შსს-ს თანამშრომლების არაადამიანური მოპყრობა ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად. გარდა ამისა, სავარაუდოდ, მომჩივნების მიმართ ძალადობა ჩადენილია პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოტივით. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ნიკა მოსიაშვილისთვის არ მიუნიჭებიათ დაზარალებულის სტატუსი და არ გამოკვეთილა მათ მიმართ ჩადენილი ქმედებების დისკრიმინაციული მოტივი. ამასთანავე, ადვოკატის მიერ სისხლის სამართლის მასალების გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 2023 წლის 15 მაისის ადვოკატის ვიზიტის შემდეგ, არცერთი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. შესაბამისად, ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ნიკა მოსიაშვილის საქმე პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის არასათანადო გამოძიების მკაფიო შემთხვევაა.

გამოძიების არაეფექტიანობა ასევე იკვეთება, მაგალითად, მიხეილ მშვილდაძის საქმეში.[39] კერძოდ, 2023 წლის 27 ივნისს, უცნობი პირი მიხეილ მშვილდაძეს მოულოდნელად დაესხა თავს, რის შედეგადაც მიხეილ მშვილდაძემ სახის არეში მიიღო დაზიანება. მოგვიანებით, ძალადობის უშუალო ჩამდენმა პირმა, ნიკოლოზ გუგეშაშვილმა ფეისბუკ პოსტის მეშვეობით აღიარა, რომ დანაშაული მან ჩაიდინა და ძალადობის მოტივად მშვილდაძის მისთვის მიუღებელი საჯარო პოზიცია დაასახელა.[40] ეს იმაზე მეტყველებს, რომ თავდასხმა დისკრიმინაციული მოტივით განხორციელდა. 2023 წლის 28 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნიკოლოზ გუგეშაშვილი დააკავა და პროკურატურამ ბრალი წარუდგინა სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა). ამასთანავე, 2023 წლის 5 ივლისს ტელეკომპანია „ფორმულამ“ ძალადობის ორგანიზებაში სავარაუდო მონაწილედ გამოკვეთა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი და გაავრცელა სხვა სავარაუდო მონაწილე პირების ფოტომასალაც.[41] თავდასხმაში სახელმწიფო უსაფრთხოების

---

37 ეს საქმე არის საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას წარმოებაში, რასაც ეყრდნობა მის შესახებ ანგარიშის წინამდებარე ქვეთავში მოცემული ინფორმაცია.

38 იხ. ვიდეო: ***https://www.facebook.com/japaridzez/videos/914067559742622*** [ბოლო ნახვა 01.11.2023].

39 საქმე არის საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას წარმოებაში, რასაც ეყრდნობა მის შესახებ ანგარიშის წინამდებარე ქვეთავში მოცემული ინფორმაცია.

40 ტელეწამყვან მიშა მშვილდაძეზე თავდასხმის საქმეზე ერთი პირი დააკავეს, იხ.: ***https://tinyurl.com/mn358rvb*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

41 კოორდინირებული, სისტემური დანაშაული - „ფორმულამ“ მშვილდაძეზე თავდასხმის სურათი აღადგინა, იხ.: ***https://tinyurl.com/52xw6uev*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

სამსახურის თანამშრომლების სავარაუდო მონაწილეობის გამო დაზარალებულისა და მისი ადვოკატების მოთხოვნით საქმე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადაეცა. მიხეილ მშვილდაძემ და მისმა ადვოკატებმა გამოძიების დაწყებისთანავე არაერთხელ მოუწოდეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ჩაეტარებინათ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები, ამოეღოთ ვიდეომასალა, შეეცვალათ საქმეზე კვალიფიკაცია. მიუხედავად ამისა, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქმის მასალები სასამართლოს გაუგზავნა, რაც გამოძიების დასრულებას ნიშნავდა. დაზარალებულის ადვოკატმა გამოძიების გაგრძელება მოითხოვა, მაგრამ გამოძიებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს, მათ შორის, პროკურატურას, რეაგირება არ ჰქონია. ამასთანავე, ადვოკატების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, საქმეზე კვალიფიკაცია არ შეცვლილა და დისკრიმინაციული მოტივი არ გამოვლენილა.

ლგბტქი თემის მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

3.1. შესავალი

საქართველოში მცხოვრები ლგბტქი ადამიანები არაერთხელ ყოფილან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა თუ სიძულვილის ჯგუფების სამიზნეები. ჰომო/ბი/ ტრანსფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულები გამოწვეულია ლგბტქი თემის მიმართ არსებული ცრურწმენებით, სტიგმით, სიძულვილითა და დისკრიმინაციული განწყობებით. საქართველოს კონტექსტში ამ ზოგად გამოწვევებს ინსტიტუციური ჰომოფობიისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის გამოცდილებაც ემატება.

როგორც წესი, ქვეყნებში, სადაც ძლიერია ანტი-ლგბტქი განწყობები, ლგბტქი ჯგუფის წევრები ხშირად ხდებიან ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.[42] გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, ლგბტქი ადამიანები, რასობრივი, რელიგიური ან სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლებისგან განსხვავებით, სოციალური კავშირების, ოჯახისა და ახლობლების მხარდაჭერის გარეშე რჩებიან.[43]

სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენცია, და დანაშაულებზე დროული, ეფექტიანი და სრულყოფილი რეაგირება, დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა. ბოლო წლებში საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილებების მიუხედავად, ჰომო/ბი/ტრანსფობიურ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პოლიტიკა არსებითად არ გაუმჯობესებულა. უფრო მეტიც, უკანასკნელი 2 წლის ტენდენცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ცალკეულ შემთხვევებზე სახელმწიფოს არასაკმარის რეაგირებაზე, ლგბტქი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობისა და საჭიროებების უგულებელყოფასა და სიძულვილის ჯგუფების მიმართ შემწყნარებლური მიდგომების გატარებაზე მიუთითებს.

3.2. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა

2020 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ლგბტქი თემის წევრების 52% საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის გამო ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი; 91% სიტყვიერ შეურაცხყოფას დაექვემდებარა; 81% ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიდა; 75%-ს ფიზიკური ძალადობის მუქარა გამოუცდია.[44] თემის შიგნით ძალადობის გამოცდილება სხვადასხვაგვარია. ყველაზე უფრო ხშირად ძალადობის მსხვერპლები ტრანსგენდერი ადამიანები, მასკულინური ქალები და ფემინური კაცები ხდებიან, რაც გენდერულ იდენტობასა თუ სექსუალურ ორიენტაციასთან ერთად, საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებული გენდერული ნორმების დარღვევასაც უკავშირდება.[45]

---

42 ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, წინარწმენიდან თანასწორობამდე საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ, 2023, გვ. 14, იხ.: ***https://tinyurl.com/3j5py5wm*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

43 OSCE/ODIHR, Hate Crimes in the OSCE Region: Incidents and Responses, 2006, p. 56; available at: ***https://www.osce.org/files/f/documents/6/7/26759.pdf*** [last accessed 01.11.2023].

44 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლგბტქ ჯგუფის ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020, გვ. 87, იხ.: ***https://tinyurl.com/5n8h5ew2*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

45 ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, წინარწმენიდან თანასწორობამდე საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ, 2023, გვ. 95.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის/გამოხატვის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების მიზნით არაერთი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური რეფორმა განხორციელდა. ამ მხრივ, პროგრესულ ნაბიჯად მიიჩნევა უნიფიცირებული სტატისტიკის წარმოება, სადაც სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულისა და მოტივის გარდა, მითითებულია შესაძლო დამნაშავეთა ასაკი, სქესი და დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული მდებარეობა.[46] ამასთანავე, 2021 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უზენაესი სასამართლოს ერთობლივ ანგარიშში, მსხვერპლისა და მოძალადის სოციალური კავშირის ჩამონათვალში „ინტიმური პარტნიორის" კატეგორია გაჩნდა, რაც ფორმალურად ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის მომხდარი ძალადობის შემთხვევების აღრიცხვის შესაძლებლობას იძლევა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უზენაესი სასამართლოს ანგარიში არსებული მეთოდოლოგიით კონკრეტული ნიშნის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების ჩაშლის შესაძლებლობას არ იძლევა.[47] სტატისტიკაში არ მიეთითება, სოგი-ს ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაული ინტიმური პარტნიორის მიერ განხორციელდა თუ არა და ზოგადად აღირიცხება წლიურად რამდენი დანაშაული ჩაიდინა ინტიმურმა პარტნიორმა.

3.3. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირება და მათი პრევენცია

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირებისა და შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის საკითხი კრიტიკულ გამოწვევებად რჩება. მოტივის გამოვლენის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე, „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ". ამ საქმეზე სასამართლომ 2012 წლის 17 მაისს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირება შეაფასა და აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო „განხორციელებული თავდასხმის დისკრიმინაციული საფუძვლის შესახებ სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, ერთი მხრივ, ლგბტ ჯგუფის მიმართ არსებული მტრული დამოკიდებულებისა და, მეორე მხრივ, თავდამსხმელების მიერ წარმოთქმული ცალსახად ჰომოფობიური სიტყვიერი შეურაცხყოფის მიზეზის დასადგენად".[48]

გადაწყვეტილების აღსრულებას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობს, რომელსაც სახელმწიფოსთვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის შესაბამისი რეკომენდაციები აქვს გაცემული. პრაქტიკაში სახელმწიფო არათუ ვერ უზრუნველყოფს დანაშაულების პრევენციასა და სათანადო რეაგირებას, არამედ ერთგვარ შემწყნარებლობის პოლიტიკას ამკვიდრებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სიძულვილის ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებისა და 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენების ფონზე.

5 ივლისს „ღირსების მარშის" ძალადობრივ ჩაშლამდე, ძალადობის ორგანიზატორები მედიასაშუალებებით ძალადობრივ მოწოდებებს აკეთებდნენ, რომლებიც, მათ შორის, სიცოცხლის მოსპობის მუქარასაც შეიცავდა.[49] საერთაშორისო სტანდარტით, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის პრევენციასა და პრევენციის ფარგლებში საპოლიციო ფუნქციების

---

46 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021, გვ. 23, იხ.: ***https://tinyurl.com/y3yyzr7r*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

47 იქვე.

48 ECHR, Identoba and others v. Georgia, No. 73235/12, judgment of 12th of May, 2015, paragraph 77.

49 შეიძლება იყოს მსხვერპლი, კიდევ ერთხელ ვაანონსებ - გურამ ფალავანდიშვილის მორიგი მუქარის შემცველი განცხადება, იხ: ***https://rustavi2.ge/ka/news/203650*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

ახლებურ გააზრებას.[50] საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით სახელმწიფოსთვის აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ სიძულვილის ჯგუფები არა მხოლოდ ე.წ „კონტრ-აქციის", არამედ ძალადობრივი შეკრების ორგანიზებასაც აპირებდნენ. პარლამენტის წინ მობილიზებული საპოლიციო ძალები არ იყო საკმარისი ძალადობის აღსაკვეთად. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო თავიდან აერიდებინა ფიზიკური ძალადობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებზე თავდასხმის შემთხვევები, გამოძიება არასრულად წარიმართა. განსაკუთრებით პრობლემურია ძალადობის ორგანიზატორების პასუხისმგებლობის საკითხი. ძალადობაში უშუალოდ მონაწილე პირების ნაწილის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დადგომის მიუხედავად, სახელმწიფოს არ დაუწყია არც გამოძიება და არც სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებზე.[51]

სამოქალაქო ორგანიზაციებისა თუ უფლებადამცველების მრავალი წლის აქტიური მუშაობის მიუხედავად, სახელმწიფოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგია არ გააჩნია. ვითარებას განსაკუთრებით ამძიმებს 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში ლგბტქი ჯგუფის არხსენება, ჰომო/ბი/ტრანსფობიურ ძალადობასთან ბრძოლისა და სიძულვილის ჯგუფებისგან მომდინარე საფრხეების შემცირებაზე ხედვის არარსებობა. სახელმწიფოს ამგვარი მიდგომა იმაზე მეტყველებს, რომ შეუწყნარებლობის მოტივით კონკრეტულად ლგბტქი+ თემის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლა უგულებელყოფილია პოლიტიკის დონეზე, ამასთანავე, სახელმწიფოს უმოქმედობით წახალისებულია ლგბტქი ადამიანების მიმართ ორგანიზებული ძალადობის შემთხვევები.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის/გამოხატვის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები ხშირად დარჩენილა სამართალდამცავიუწყებებისთვისშეტყობინებისგარეშე.შესაბამისად,დანაშაულისჩამდენი პირები ხშირად დაუსჯელები რჩებიან.[52] პოლიციისათვის მიმართვისგან თავის შეკავების მიზეზები განსხვავებულია, თუმცა საპოლიციო სისტემაში არსებული ინსტიტუციური ჰომოფობია არსებითად აზიანებს ამ უწყებისადმი ნდობის ხარისხს და მსხვერპლის აღქმაში მის დელეგიტიმაციას იწვევს.[53] სამართალდამცავებისთვის მიმართვაზე უარის თქმის მიზეზებად ყველაზე ხშირად პოლიციელთა მხრიდან ჰომოფობიური/ტრანსფობიური შიში, ძალადობის განმეორების შიში, წარსულში პოლიციასთან უარყოფითი გამოცდილება სახელდება.[54] თავის მხრივ, უარყოფითი გამოცდილებაც მრავალგვარია და შეიძლება უკავშირდებოდეს იძულებით „ქამინგაუთს", არასათანადო მოპყრობას, დისკრიმინაციას, რევიქტიმიზაციას ან დანაშაულზე არასათანადო რეაგირებას.

სიძულვილის დანაშაულებთან ბრძოლისა და მათ ნეგატიურ შედეგებთან გამკლავებისთვის კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ადრეული პრევენციის მექანიზმის არსებობა. დანაშაულის პრევენციის მიზნებია მოსალოდნელი საფრთხის მდგომარეობაზე,

---

50 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა, 2021, გვ. 15, იხ.: ***https://tinyurl.com/y42bmj4n*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

51 Women's Initiatives Supporting Group, Georgian Young Lawyers Association, European Human Rights Advocacy Center, submission to the Committee of Ministers of the Council of Europe concerning the implementation of Identoba and Others v. Georgia group of cases, 2022, p. 8; სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, გვ. 192-193, იხ.: ***https://tinyurl.com/4xs9e2xz*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

52 OSCE/ODIHR, Hate Crimes in the OSCE Region: Incidents and Responses, 2006, p. 52; available at: ***https://www.osce.org/files/f/documents/6/7/26759.pdf,*** [last accessed 01.10.2023].

53 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლგბტქ ჯგუფის ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020, გვ. 30.

54 იქვე.

პოტენციურ სამართალდარღვევასა და კრიმინოგენულ სიტუაციაზე გავლენის მოხდენა.[55] პრევენციის მექანიზმები და ღონისძიებები განსხვავებულია. საქართველოში არ არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის პოლიტიკა. პრევენცია შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდუალურ შემთხვევებში. ამგვარი სიტუაციური პრევენცია კონცენტრირდება კონკრეტულ ჯგუფებზე, ინდივიდებსა და გარემოებებზე, როდესაც სამართალდამრღვევად თუ მსხვერპლად ქცევის რისკი მაღალია.[56] მაგალითად, სიძულვილით ჯგუფების მობილიზება ხშირად უკავშირდება ქვიარ-პრაიდის ჩატარებას; აგრეთვე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ხშირია ლგბტქი ადამიანების თავშეყრის ადგილებსა და სათემო ორგანიზაციებში.[57] სიტუაციური პრევენციის შედეგები იმწუთიერია და ვერ აზღვევს დანაშაულის განმეორების რისკს.[58]

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირების ნაწილში მნიშვნელოვანია მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისების დანერგვის საკითხიც. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას მსხვერპლთა მხარდაჭერის კონფიდენციალური და უფასო სერვისები, რომლებიც მათ ინტერესებს მოემსახურება სისხლისსამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე, მისი მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ.[59] ასეთი სერვისები შესაძლოა არსებობდეს როგორც საჯარო უწყებებში, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებში. მსხვერპლების მხარდასაჭერად სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა თითოეული მსხვერპლის საჭიროებების ინდივიდუალური შეფასება, რათა უზრუნველყონ მათი დაცვა და მხარდაჭერა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, რელევანტურ სერვისებზე რეფერირების დროული განხორციელება.[60] ასეთი სერვისები სახელმწიფოს არ დაუნერგავს. პრაქტიკაში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი ლგბტქი ადამიანები სამართლებრივ, ფსიქოსოციალურ და სამედიცინო სერვისებს, როგორც წესი, სათემო ორგანიზაციებში იღებენ.

3.4. ოჯახის წევრის ან პარტნიორის მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით, ლგბტქი ადამიანები საქართველოში ერთ-ერთ რისკ ჯგუფს მიეკუთვნებიან.[61] ლგბტქი ადამიანები, რომლებიც ოჯახის წევრებთან საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას ან/და გენდერულ იდენტობას ამჟღავნებენ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, ხშირად სახლიდან გაგდების ან სახლიდან გაგდების მუქარის მსხვერპლებიც ხდებიან.[62] უსახლკარობის შიშის გამო, თემის წევრები პოლიციისთვის მიმართვისგან თავს იკავებენ. პოლიციისთვის მიმართვის შემთხვევები, როგორც წესი, შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის გარეშე სრულდება, რაც ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიან რეაგირებას ვერ უზრუნველყოფს.

ოჯახში ძალადობა განსაკუთრებით მძიმე გამოცდილებაა თემის არასრულწლოვანი წევრებისთვის და უშუალოდ უკავშირდება სოციალური კავშირების, აგრეთვე, საცხოვრებლის

---

55 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა, 2021, გვ. 16.

56 იქვე.

57 OSCE/ODIHR, Hate Crimes in the OSCE Region: Incidents and Responses, 2006, p. 55-56; see: ***https://www.osce.org/files/f/documents/6/7/26759.pdf*** [last accessed 11.01.2023].

58 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა, 2021, გვ. 16.

59 იქვე.

60 იქვე.

61 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021, გვ. 26.

62 თანასწორობის მოძრაობა, ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში, 2022, გვ. 8, იხ.: ***https://tinyurl.com/ce6daj8x*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

დაკარგვას. ოჯახის გაძლიერებისა და რეინტეგრაციის პროგრამების არარსებობის გამო, ოჯახში ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანს სახლში დაბრუნების ნაკლები შანსი აქვს და, როგორც წესი, ზრუნვის დაწესებულებაში გადასვლით ოჯახთან კავშირს წყვეტს.[63] ამასთანავე, მსხვერპლი არასრულწლოვანები ოჯახიდან გამოყვანის შემდეგ ზრუნვის დაწესებულებებშიც განიცდიან სხვადასხვა ფორმის ძალადობას.[64]

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ინტიმური პარტნიორის მხრიდან მომდინარე ძალადობის საკითხი. 2020 წლის კვლევით, ლგბტქი ადამიანები ყველაზე ხშირად ფიზიკური ძალადობის მსხვერპლები, ნაცნობის ან უცხო ადამიანის შემდეგ, სწორედ ინტიმური პარტნიორის მიერ ხდებიან.[65] საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა „ინტიმური პარტნიორის" ცნებას არ განსაზღვრავს. შესაბამისად, კანონმდებლობა ინტიმურ პარტნიორს ოჯახის წევრად არ განიხილავს და მასზე არ ავრცელებს ისეთ შემაკავებელ მექანიზმებს, როგორებიცაა შემაკავებელი და დამცავი ორდერები.

სამართლებრივი გარანტიების არსებობის გარდა, სამართალდამცავი სისტემის მიმართ უნდობლობა და სხვა ფაქტორები ძალადობის შემთხვევებს ფაქტობრივად რეაგირების გარეშე ტოვებს. მაგალითად, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, იმ ლბტ ქალების 61.9%-მა, რომელიც ინტიმური პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა, არჩია პოლიციისთვის არ მიემართა. ამის მიზეზად კი, იძულებითი „ქამინგაუთი" და პოლიციელების ჰომოფობიური რეაქციების შიში დასახელდა.[66] ინტიმური პარტნიორის მიერ ჩადენილ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფია ტრანსგენდერი ქალები. მოქმედი კანონმდებლობა „მსხვერპლს" განმარტავს, როგორც „ქალს ან ოჯახის სხვა წევრს". გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმისა და ნორმის ვიწრო, დისკრიმინაციული განმარტების პირობებში, ტრანსგენდერი ქალები ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის შემაკავებელი მექანიზმების მიღმა რჩებიან.[67]

63 კოალიცია „თანასწორობისთვის", სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფებისთვის საქართველოში, 2022, გვ. 85, იხ.: ***https://tinyurl.com/3h53umpd*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

64 იქვე.

65 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლგბტქ ჯგუფის ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020, გვ. 95.

66 NGO Shadow Report on the implementation of The Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence in Georgia, Sexual Violence, GREVIO Committee, 2021, available at: ***https://tinyurl.com/yzrubvjm*** [last accessed 01.11.2023].

67 Women's Initiatives Supporting Group (WISG), Discrimination and Violence Against Lesbian, Bisexual, Trans and Intersex Women in Georgia, CEDAW, 2023, available at: ***https://tinyurl.com/2cpcp333*** [last accessed 01.11.2023].

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება და რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები

4.1. შესავალი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2021-2023 წლის პირველი ნახევარი) საქართველოში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური პროცესების, მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების პატივისცემის მიმართულებით არსებული გამოწვევების ფონზე, კიდევ უფრო კრიტიკულად წარმოჩნდა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების და სეკულარობის პრინციპის დაცვის პრობლემაც.

წინამდებარე ანგარიშის ამ თავში განხილულია რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულები და მათზე სახელმწიფოს რეაგირების საკითხი, მათ შორის, მუსლიმთა უფლებების დარღვევის ფაქტები და გამოძიება. ამ მხრივ, დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოძიების დაწყებისა და საქმეების სისხლის სამართლის კოდექსის სწორი მუხლებით კვალიფიკაციის მაჩვენებელი. ამის მიუხედავად, მაინც პრობლემად რჩება ამგვარი საქმეების გამოძიების არაეფექტიანობა და მათზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების დაგვიანებით მიღება.

რელიგიური გაერთიანებები და მათი წევრები განიცდიან დისკრიმინაციას, გარიყვას, სიძულვილით მოტივირებულ ძალადობას, სისტემურ ჩაგვრას. სახელმწიფოს არასისტემური და მხოლოდ რეაქციული ინტერვენციის პოლიტიკა ქმნის იმგვარ ფონს, სადაც არადომინანტური რელიგიური ჯგუფების უფლებებს სამომავლო ხელყოფის საფრთხე ემუქრება. ამავე დროს, ამგვარი პოლიტიკა ამცირებს სახელმწიფოსადმი მათ ნდობას. საქმეების წარმოების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები, ასევე საქართველოში არსებული არათანმიმდევრული პრაქტიკა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ამგვარი დანაშაულის მსხვერპლთა მიერ სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვიანობაზეც უარყოფითად აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა გასულ წლებთან შედარებით იკლებს, კვლავ პრობლემაა პროკურატურის მიერ ბრალის წარდგენისა და მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გაჭიანურება. ახალ ტენდენციად იკვეთება სავარაუდო რელიგიური ნიშნით დევნის ფაქტისას სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვიანობის კლება. ეს უშუალო კავშირშია ამგვარ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში დამდგარი გადაწყვეტილებების რაოდენობასთან.

ამასთანავე, წინა წლებში გამოკვეთილი სხვა სისტემური პრობლემები, როგორებიცაა დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რელიგიური გაერთიანებების საკუთრებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ახალი სამლოცველოების მშენებლობისთვის შექმნილი ხელოვნური ბარიერები, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ბუნდოვანი მანდატისა და პოლიტიკის საკითხი, კვლავაც გადაუჭრელი რჩება. სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის ნაწილია უკანონო თვალთვალი და მიყურადება, რელიგიურ პირებზე ზეწოლა და შანტაჟი, რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობაში ჩარევა, რელიგიის სფეროს არა ადამიანის უფლებების პერსპექტივით დანახვა, არამედ უსაფრთხოების სამსახურების კონტროლქვეშ გადატანა.

ამგვარი დისკრიმინაციული და არადემოკრატიული პოლიტიკა, სავარაუდოდ, აისახება სამართალწარმოების პრობლემაზეც, რაც, ხშირად, ვლინდება სავარაუდო დამნაშავეებისა და დანაშაულების მიმართ „შემწყნარებლურ“ პოზიციაში, დაუსჯელობაში, გარკვეულ შემთხვევებში, უმრავლესობისადმი მიკერძოებასა და სამართალდამცველების მიერ არაეფექტიანი ზომების გატარებაში.

4.2. დანაშაულები რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით

წინამდებარე თავი ეხება რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკას და მათზე სახელმწიფოს რეაგირების ტენდენციას საანგარიშო პერიოდში, ასევე 2012 წლის შემდგომ ჩადენილ რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის ფაქტების მიმართ სახელმწიფოსა და სამართალდამცავი უწყებების პოლიტიკას და უშუალოდ ხელისუფლების მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს, რომლებიც ცალკეული რელიგიური გაერთიანებების მიმართ კონტროლსა და ზეწოლაში გამოიხატება.

4.2.1. რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა

რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება კვლავ გამოწვევაა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის“ 2021[68] და 2022[69] წლების ერთიანი ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რელიგიური ნიშნით მოტივირებულ 27 საქმეზე[70] დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება. რაც შეეხება საქართველოს პროკურატურას, რელიგიის ნიშნით ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 საქმეზე,[71] ხოლო დაზარალებულად ცნეს 18 პირი.[72] ამასთანავე, რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის ფაქტზე გამამტყუნებელი განაჩენი 3 პირის მიმართ არის გამოტანილი.[73]

ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) 2021 წლის სიძულვილით მოტივირებული საქმეების შესახებ სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს სამართალდამცავი უწყებების ინფორმაციით, რელიგიის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი შეადგენს 21-ს,[74] სხვა წყაროებისგან ასევე ეუწყათ 9[75] შემთხვევის შესახებ. დანაშაულები მოიცავს ფიზიკურ ძალადობას, მუქარას და საკუთრების უფლების ხელყოფას.[76]

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია 2023 წლის იანვარ-ივნისში რელიგიური ნიშნით მოტივირებული დანაშაულებისა და საქმეების სტატისტიკის შესახებ.[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ცნობით, ამ პერიოდში საერთო სასამართლოებში განიხილებოდა სავარაუდო რელიგიური

---

68 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო - „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, 2021, იხ.: *https://www.geostat.ge/media/43558/diskriminaciis-niSniT_2021.pdf* [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

69 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო - „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში“, 2022, იხ.: *https://www.geostat.ge/media/51737/diskriminacia_2022.pdf* [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

70 2021 წელს 19 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 2022 წელს 8, აქედან 6 შემთხვევაში დისკრიმინაციის ნიშნად მხოლოდ რელიგია იკვეთებოდა, 1 შემთხვევაში - რელიგია და რასა, 1 შემთხვევაში კი, რელიგია და გენდერი.

71 2021 წელს 5 სისხლის სამართლის საქმე, აქედან 3 შემთხვევაში დისკრიმინაციის ნიშნად მხოლოდ რელიგია იკვეთებოდა, 2 შემთხვევაში კი - რელიგია და გენდერი. 2022 წელს 2 სისხლის სამართლის საქმე.

72 2021 წელს 5 პირი იქნა დაზარალებულად ცნობილი, აქედან 3 პირი იმ სს საქმეებზე, რომელშიც დისკრიმინაციის ნიშნად მხოლოდ რელიგია იკვეთებოდა, ხოლო 2 პირი იმ სს საქმეზე, რომელშიც რელიგიასთან ერთად იკვეთებოდა გენდერიც. 2022 წელს 13 პირი იქნა დაზარალებულად ცნობილი, აქედან, 12 პირი იმ სს საქმეებზე, რომლებშიც დისკრიმინაციის ნიშნად მხოლოდ რელიგია იკვეთებოდა, ხოლო 1 პირი იმ საქმეზე, რომელშიც რელიგიასთან ერთად დისკრიმინაციის ნიშნად გამოიკვეთა რასა.

73 2021 წელს მსჯავრდებულია 2 პირი, აქედან საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებული საქმეების მიხედვით - 1 პირი. 2022 წელს მსჯავრდებულია 1 პირი.

74 10 შემთხვევა მუსლიმების წინააღმდეგ, 11 - ქრისტიანების (უმრავლესობა იეჰოვას მოწმეების მიმართ)

75 2 შემთხვევა მუსლიმების წინააღმდეგ, 7 - იეჰოვას მოწმეების მიმართ.

76 OSCE, ODIHR hate crime reporting/ Georgia, 2021, available at: *https://hatecrime.osce.org/georgia* [last accessed 01.11.2023].

77 TDI-მ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა სასამართლო და საგამოძიებო უწყებებიდან.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი 1 საქმე სსკ-ის 333 მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება); ასევე, განსახილველად შევიდა 1 საქმე სსკ-ის 126[1]-ე და 11[1]-151-ე მუხლებით (ოჯახური ძალადობა-ძალადობა და მუქარა).[78] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული რეგისტრირებული დანაშაულების სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყებამ სისხლისსამართლებრივი გამოძიება დაიწყო რელიგიური ნიშნით მოტივირებულ 2 საქმეზე (სსკ-ის 155-ე მუხლით); 2 საქმეზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (დევნა), თუმცა ამ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული საფუძველი/ნიშანი.[79] საქართველოს პროკურატურისგან საპასუხო წერილის მიხედვით, დევნა დაიწყო 1 საქმეზე[80] და დაზარალებულად იქნა ცნობილი 1 პირი. თუმცა, მოცემულ შემთხვევაშიც, არ არის მითითებული დანაშაულის (დევნა) საფუძველი/ნიშანი.[81] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საპასუხო წერილის მიხედვით კი, წარმოებაში იყო 2 საქმე სსკ-ის 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა), 1 საქმე - სსკ-ის 156-ე მუხლით (დევნა). სამივე საქმეზე გამოძიება დაიწყო იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე.

TDI-ის მიერ გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე საჯარო უწყებებიდან მიღებული პასუხები ვერ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციაზე სრულყოფილად წვდომას. კერძოდ, საჯარო უწყებებიდან მიღებული პასუხები, კონკრეტულად მითითებული მოსაწოდებელი საჯარო ინფორმაციის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილი და ზოგადია. პრობლემას წარმოადგენს არასრული მონაცემები, სადაც, რიგ შემთხვევაში, არ არის მითითებული საქმის წარმოების თარიღები, სასამართლო ინსტანცია და დანაშაულის საფუძველი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს არ გაუცია სტატისტიკური ინფორმაცია ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით. ამ მხრივ გამონაკლისია სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომლისგანაც ორგანიზაციამ მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიიღო.[82]

4.2.2. იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობა და დევნა

სტატისტიკის მიხედვით, იეჰოვას მოწმეები ყველაზე ხშირად ხდებიან რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მსხვერპლები. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც საანგარიშო წლები ყოფილა, თუმცა 2020 წლიდან შეინიშნება კლების ტენდენცია. კვლავ იკვეთება იეჰოვას მოწმეთა რელიგიური მსახურებისთვის ხელის შეშლის შემთხვევები, მათ შორის, რელიგიური შეკრებისთვის განკუთვნილი დარბაზის დაზიანების, დარბაზიდან ქონების ქურდობის, რელიგიურ ნიადაგზე თავდასხმისა და ფიზიკური ძალადობის მუქარის ცალკეული ფაქტები.[83] უფრო კონკრეტულად, 2021 წელს გამოვლინდა სავარაუდო შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 6 შემთხვევა, ხოლო 2022 წელს - 9.[84] დაბალი მაჩვენებელი ნაწილობრივ იმითაც არის განპირობებული, რომ კოვიდ 19-ის პანდემიის პერიოდში, ორ წელზე მეტი დროის განმავლობაში, იეჰოვას მოწმეებს შეჩერებული ჰქონდათ ფიზიკურ სივრცეში შეკრებები და აქტიური საჯარო საქმიანობა.

4.2.3. მუსლიმთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიება

მუსლიმების წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით ძალადობის და უფლებების დარღვევის

---

78 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 28 სექტემბრის №პ-779-23 წერილი.

79 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა 2023 წელი (იანვარი-ივნისი), იხ.: *https://info.police.ge/uploads/64c7c23ae3797.pdf* [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

80 სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი.

81 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 27 სექტემბრის №13/65230 წერილი.

82 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 1 ნოემბრის SIS 2 23 00020123 წერილი.

83 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2010-2019, იხ.: *https://bit.ly/468wyOi* [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

84 ინფორმაცია ეფუძნება საქართველოში იეჰოვას მოწმეების 2022 წლის ანგარიშს.

შემთხვევები ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და სისტემური პრობლემაა. დაუცველობის განცდას ამძაფრებს სიძულვილის მოტივით მოქმედი პირების დაუსჯელობა, ქმედებათა არასწორი კვალიფიკაცია და გამოძიების გაჭიანურება (ზოგ საქმეზე გამოძიება ამ დრომდეც უშედეგოდ მიმდინარეობს). 2012 წლიდან, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები მუსლიმების წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით ძალადობის და უფლებების დარღვევის 9 მასშტაბური შემთხვევა. ამათგან 8 შემთხვევა (ნიგვზიანი,[85] წინწყარო,[86] ციხისძირი,[87] სამთაწყარო,[88] ჭელა,[89] ქობულეთი,[90] მოხე,[91] ადიგენი[92]) 2012-2016 წლებში[93] გამოვლინდა, ერთი კი 2021 წელს (ბუკნარი[94]).

აღნიშნულ შემთხვევებში, დანაშაულები, სავარაუდოდ ჩაიდინეს, როგორც სახელმწიფო და სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებმა,[95] ისე ადგილობრივმა, ქრისტიანობის სახელით მოქმედმა ჯგუფებმა.[96] რიგ შემთხვევაში რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი ძალადობრივი შემთხვევების „მოგვარება“ სახელმწიფომ საქართველოს საპატრიარქოს მიანდო და თავი აარიდა საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შესრულებას.[97] მუსლიმი თემის წარმომადგენელთა მიმართ რელიგიის თავისუფლების შელახვა მოიცავდა: რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლას, სიცოცხლის მოსპობის მუქარას, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, საკუთრების უფლებასა და გადაადგილების თავისუფლებაში ჩარევას და სიძულვილის ენას.

მუსლიმების წინააღმდეგ გამოვლენილი აშკარა ძალადობის მიუხედავად, საქმეებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ყოველ ჯერზე კონფლიქტის ზედაპირულ მოგვარებაზეა ორიენტირებული. სახელმწიფო არ აღიარებს პრობლემის სიმწვავესა და მასშტაბურობას,

---

85 მართლმადიდებელი ქრისტიანების მხრიდან მუსლიმების მიმართ ადგილი ჰქონდა რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელის შეშლას და სიცოცხლის მოსპობის მუქარას.

86 მართლმადიდებელი ქრისტიანების მხრიდან მუსლიმების მიმართ ადგილი ჰქონდა რელიგიური რიტუალის ჩატარებაში ხელის შეშლას, სიცოცხლის მოსპობისა და სახლის დაწვის მუქარას.

87 თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ადგილობრივ პირებს აჩერებდნენ და ითხოვდნენ ჯვრების ჩვენებას იმის დასადასტურებლად, რომ პირები ქრისტიანები იყვნენ და არა მუსლიმები. ასევე, ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

88 მართლმადიდებელი ქრისტიანების მხრიდან მუსლიმების მიმართ (განსაკუთრებით, მუსლიმთა სასულიერო წინამძღოლის) ადგილი ჰქონდა ღვთისმსახურების ჩატარებაში სისტემურ ხელის შეშლას, სიტყვიერ შეურაცხყოფას, მუქარას და ფიზიკურ ძალადობას.

89 სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა სოფელ ჭელაში მდებარე მეჩეთის მინარეთი მოჭრეს. შსს-ს თანამშრომლებმა ძალა გამოიყენეს იმ მუსლიმების წინააღმდეგ, ვინც ეს გააპროტესტა.

90 ადგილობრივმა მართლმადიდებლებმა მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნა შენობის შესასვლელის გადაკეტვითა და შენობის კარზე ღორის თავის მიჭედებით გააპროტესტეს. ადგილი ჰქონდა პანსიონის ადმინისტრაციისა და მოსწავლეების დევნის, გადაადგილების, საკუთრებისა თუ სხვა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის ფაქტებს.

91 საპროტესტო შეკრება, სადაც ადგილობრივი მუსლიმები ყოფილი მეჩეთის (სადავო შენობის) დემონტაჟს აპროტესტებდნენ, შსს-ს თანამშრომლებმა ძალადობრივი მეთოდებით დაშალეს. სამართალდამცავი პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა მუსლიმების ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

92 სოფლის ცენტრში, მუსლიმთა სასაფლაოსთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის თხოვნასთან დაკავშირებით გამართული განხილვის დროს, ადგილობრივი მართლმადიდებლების ნაწილი თავს დაესხა შეკრებილ მუსლიმებს და სხეულის დაზიანება მიაყენა ორ პირს, ხოლო ერთი პირი გულის შეტევის გამო მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

93 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში 2010-2019, გვ. 105.

94 სოფლის მუსლიმი მოსახლეობის მიერ სამლოცველო სახლის გახსნას ქრისტიანი მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა, რაც, 2021 წლის იანვარში, სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

95 სოფელ ციხისძირისა და სოფელ მოხეს შემთხვევებში, იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში 2010-2019, გვ. 109-110, 114-115.

96 ნიგვზიანის, წინწყაროს, სამთაწყაროს, ქობულეთის, ადიგენისა და ბუკნარის შემთხვევები.

97 რელიგიისა და რწმენის თავისუფლებიდან მომდინარე პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს მუსლიმი მოსახლეობის ღვთისმსახურებისთვის ხელის შემშლელი ნებისმიერი ქმედების აღკვეთასა და ყველა შესაძლო პრევენციული ზომის მიღებას.

შედეგად, მისი კონკრეტული ქმედებები, უმეტესად არ არის მიმართული სიღრმისეული გააზრებისა და სისტემური პრევენციისკენ.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია არასრულყოფილი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. ქობულეთის და სამთაწყაროს ფაქტზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს,[98] თუმცა კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება, როგორც შსს უთითებს, სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, წინწყაროსა და ნიგვზიანის შემთხვევებზე 2020 წელს შეწყდა, ხოლო ადიგენის შემთხვევაზე - 2016 წელს.[99]

ციხისძირის ფაქტის შემთხვევაში, ბათუმის საქალაქო სასამართლომ სამხედრო პოლიციელები დამნაშავედ ცნო ხულიგნობისა და საკუთრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მუხლით, თუმცა სასამართლოს არ უმსჯელია და დანაშაულის მოტივად არ გამოუკვეთია რელიგიური შეუწყნარებლობა, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.[100]

სოფელ ბუკნარში მუსლიმების მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტზე, ბრალდებულად არის ცნობილი ერთი პირი სისხლის სამართლის კოდექსით ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების და ქურდობის ფაქტზე,[101] ხოლო დაზარალებულად ცნეს 2 პირი.[102]

სოფელ მოხეში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, პროკურატურამ შვიდი წლის შემდეგ, 2021 წელს, ორ პირს ბრალი რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქმედებისათვის წარუდგინა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების საფუძველზე[103], ერთს პირს კი დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა.[104] 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქმე კვლავაც არსებითად იხილება ახალციხის რაიონულ სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ სოფელ მოხეს შემთხვევას მალევე მოჰყვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“.[105] საქმე სოფელ მოხეში პოლიციის მხრიდან ადგილობრივი მუსლიმების დაკავებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის გარემოებებს უკავშირდება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა) არსებითი დარღვევა დაადგინა. ამავე გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შეფასებით, საჭიროა გატარდეს დამატებითი ღონისძიებები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ირგვლივ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარების მიზნით, რაც, მათ შორის,

98 სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, გვ. 183.

99 იქვე გვ. 116.

100 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში 2010-2019, გვ. 109.

101 სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

102 სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 181-182.

103 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 333, მე-3 პუნქტი, ბ) ქვეპუნქტი.

104 ადიგენში მომხდარი დაპირისპირების მონაწილე 7 წლის შემდეგ ცნეს დაზარალებულად, იხ:. ***https://tinyurl.com/4nr6ksru*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

105 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Mikeladze and others v. Georgia, (Application no. 54217/16).

მოიცავს სანქცირების ნაწილსაც.[106]

სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშებში აღნიშნავს, რომ მიმდინარე თუ დასრულებული საგამოძიებო მოქმედებების ანალიზის შედეგად იკვეთება რიგი პრობლემები, მათ შორის, გამჭვირვალე და ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების დაუცველობა, გამოძიების გაჭიანურება და მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის არმინიჭება.[107] ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თავის ანგარიშში ასევე მიუთითებს რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების არაეფექტიანობაზე და სიძულვილის მოტივის გამოკვეთაზე, როგორც სისტემურ პრობლემაზე.[108]

არადომინანტური რელიგიური გაერთიანების ნდობის მაჩვენებლის კლება თან სდევს სახელმწიფოსა და სამართალდამცავი უწყებების არასათანადო რეაგირებას და პრაქტიკას, რომელიც მიმართულია დიფერენციაციის, რელიგიური გაერთიანებების ავტონომიაში ჩარევისა და მათზე სახელმწიფო გავლენის გაზრდისკენ. შედეგად, იმატა შემთხვევებმა, როდესაც ფუნდამენტური უფლებების ხელყოფისას არადომინანტური რელიგიური გაერთიანებები იძულებულნი არიან დათმობაზე წავიდნენ და არ გაახმაურონ შემთხვევა. ამ პრობლემის ნათელი მაგალითია 2023 წლის ივლისში, ადიგენის მუნიციპალიტეტში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, ადგილობრივი მართლმადიდებლები მუსლიმების რელიგიური რიტუალის ჩატარებასა და სწავლებას ეწინააღმდეგებოდნენ. „სამხრეთის კარიბჭეს“ ინფორმაციით, მართლმადიდებელი სასულიერო პირები სკოლის შენობასთან მივიდნენ და საქმიანობის შეწყვეტა მოითხოვეს. მოხდა სიტყვიერი შელაპარაკებაც. ადგილზე მისულ პოლიციას, მომხდართან დაკავშირებით, სამართლებრივი რეაგირება არ მოუხდენია. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობით სასულიერო პირებს შორის შედგა მოლაპარაკება, რომლითაც მუსლიმებს დათმობაზე წასვლა მოუწიათ. მათ პირად საკუთრებაში არსებულ სახლში მოწყობილი სალოცავი და რელიგიური სკოლა დაატოვებინეს.[109] სახელმწიფომ ამ შემთხვევაშიც, მუსლიმური თემის შეკრების, რწმენის და რელიგიის თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დარღვევის ხარჯზე, კონფლიქტი მოგვარებულად მიიჩნია და არ გაახმაურა.

4.2.4. ანგლიკანური ეკლესიის ლიდერის საქმის გამოძიება

ანგლიკანური ეკლესიის ლიდერის საქმე ეხება 2022 წლის 5 აგვისტოს განხორციელებულ მუქარის შემცველ სატელეფონო ზარს და კომენტარებს. ეპისკოპალურ-ანგლიკანური ეკლესიის ლიდერის, თომა ლიპარტიანის განცხადებით, ჟღერდებოდა როგორც ძალადობრივი მოწოდებები, ისე ეკლესიის და მრევლის სიცოცხლის მოსპობის მუქარა. საქმეზე გამოძიება გაჭიანურდა და სასულიერო პირი დაზარალებულად მხოლოდ 2023 წლის 14 მარტს ცნეს, ხოლო ერთ პირს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა) წარედგინა. ბრალდებული პირი ძალადობრივი ჯგუფის, „ალტ-ინფოს“ წევრია.[110]

საგულისხმოა თომა ლიპარტიანის მიმართ სავარაუდო ზეწოლის მცდელობის სხვა

106 Decision of the Committee of Ministers of the Council of Union on Identoba and Others Group v. Georgia, adopted at 1451st meeting, 6-8 December 2022.

107 სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 183.

108 Commissioner for Human Rights of the Council of Europe Dunja Mijatovic Report following her visit to Georgia from 21 to 24 February 2022, page 16. available at: ***https://tinyurl.com/44pzcepa*** [last accessed 01.11.2023].

109 ადიგენში მუსლიმებს სალოცავს და რელიგიურ სკოლას ატოვებინებენ – ადგილობრივების თქმით, მიზეზი მართლმადიდებელი სასულიერო პირების უკმაყოფილებაა, იხ.: ***https://sknews.ge/ka/news/39410*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

110 „პროკურატურამ მუქარის განმახორციელებელ „ალტ-ინფოს“ წევრს ბრალდება წაუყენა“, იხ.: ***https://bit.ly/46cm0xD*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

შემთხვევაც. როგორც თომა ლიპარტიანი აღნიშნავს, 2022 წლის 17 ივლისს მას დაუკავშირდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელი და აცნობა, რომ სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე მას სააგენტოში იბარებდა შეხვედრაზე. ლიპარტიანის განცხადებით, ამ პირმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა.[111] ეკლესიის ლიდერის „გაცნობითი ხასიათის" შეხვედრაზე დაბარება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ, რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში ჩარევის სავარაუდო მაგალითია.

4.2.5. ვიტალი საფაროვის საქმე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით, კვლავაც პრობლემურია ახალგაზრდა უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეში დანაშაულის სიძულვილის მოტივით ჩადენის გამოკვეთა. 2018 წელს ვიტალი საფაროვი ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით მოკლეს. 2019 წლის ივნისში თბილისის საქალაქო სასამართლომ საფაროვის მკვლელობის საქმეში ორი მამაკაცი ცნო დამნაშავედ, მაგრამ დანაშაული არ შეფასებულა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის ნიშნით მკვლელობად.[112] პროკურატურამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. საქმე უზენაეს სასამართლოში გრძელდება.[113] 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქმე კვლავაც განხილვის ეტაპზეა.

4.3. სახელმწიფოს ტოტალური კონტროლი რელიგიურ გაერთიანებებზე

საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით საგანგაშოა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური სავარაუდოდ უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების და თვალთვალის შესახებ გავრცელებული ფაილები. დოკუმენტებში ცალკე თავი ეთმობა სასულიერო პირების შესახებ ჩანაწერებს და მათ პირად კომუნიკაციებს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური დანაყოფი მუშაობდა უშუალოდ რელიგიის თემატიკაზე. გარდა იმისა, რომ ეს არის აშკარა სისტემური დანაშაული, ის რელიგიისა და რწმენის ფუნდამენტური უფლების უხეში დარღვევაცაა.

2021 წლის 13 სექტემბერს, ონლაინ პლატფორმებზე განთავსებული დოკუმენტები, ტექსტური ფაილები, ვიდეო/აუდიოჩანაწერები და ფოტომასალა შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, პირად კომუნიკაციასა და პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას კონკრეტული პირების შესახებ. იმ მედიაორგანიზაციების თანახმად, რომლებსაც ჰქონდათ წვდომა ამ დოკუმენტებზე და რომლებმაც დაამუშავეს მასალები, გამოქვეყნებული დოკუმენტების უმრავლესობა შეეხებოდა რელიგიის თემატიკას და რელიგიურ ორგანიზაციებს. გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობა დაადასტურა არაერთმა დაზარალებულმა.

გავრცელებული მასალებიდან გამომდინარე, ხელისუფლება უკანონო მოსმენითა და თვალთვალით დეტალურად ამუშავებს ინფორმაციას, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისე სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებზე. გავრცელებული ფაილების მოცულობა და სავარაუდო მიყურადების/თვალთვალის დროის ინტერვალი მიუთითებს, რომ მას სისტემური სახე ჰქონდა.

საქართველოს პროკურატურის 2021 წლის განცხადების თანახმად, გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით,

---

111 „დამიბარეს, მაგინეს – ანგლიკანური ეკლესიის ლიდერი რელიგიის სააგენტოს წარმომადგენელს ადანაშაულებს", იხ.: *https://www.radiotavisupleba.ge/a/31963703.html* [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

112 „განაჩენი - 15 წელი #ვიტოსთვის", იხ: *https://bit.ly/418r3wo* [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

113 „ვიტალი საფაროვის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განაჩენი უცვლელად დატოვა - წინ უზენაესის სიტყვაა", იხ.: *http://bit.ly/3Z2YheK* [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

ასევე, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა)[114]. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ბრალი არავისთვის წარუდგენიათ და, ამასთან ერთად, ხელისუფლებას არ აუღია პასუხისმგებლობა მასობრივი ხასიათის უკანონო თვალთვალსა და მოსმენაზე. იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, ვინც სამართლებრივ დახმარებას უწევენ დაზარალებულებს, გამოძიება ხარვეზებით მიმდინარეობს, პრობლემურია საქმის მასალებზე არასათანადო წვდომაც. ამასთანავე, სასულიერო პირებს დაზარალებულის სტატუსი პროკურატურამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 2022 წლის ოქტომბერში მიანიჭა. გამოძიების ეტაპი არ არის გამჭვირვალე, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები კი ხარვეზიანი და ფორმალურია.[115] შედეგად, ამ დრომდე უცნობია დაზარალებულად ცნობილ სასულიერო პირთა ზუსტი ოდენობა. თუმცა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობილ სასულიერო პირთა წრე უფრო ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირებით, ვინც დარღვეული უფლებების გამო სამართალდამცავ ორგანოებს თავად მიმართეს.[116] ამასთანავე, სახალხო დამცველის გენერალური პროკურორისადმი მიმართვას, დაწყებული გამოძიების მასალების გამონაკლისი წესით გაცნობასთან დაკავშირებით, პროკურატურამ უარით უპასუხა.[117]

114 საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 18 სექტემბრის განცხადება, იხ.: ***https://tinyurl.com/3ykvfw8m*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

115 მაგალითად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი იცავს ეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის, ეპისკოპოს რუსუდან გოცირიძის, დედა სიდონიასა და დეკანოზ გიორგი მამალაძის სამართლებრივ ინტერესებს. სუს-ის კრებებზე მიმდინარე გამოძიების შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022 წლის ოქტომბერი, იხ: ***https://bit.ly/3UgKfoY*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

116 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში 2022 წლის ანგარიში, 2023, გვ. 27, იხ.: ***https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi_forb_report_2022_geo.pdf*** [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

117 სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 139.

დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში განხილული სიძულვილის დანაშაულების კონკრეტული შემთხვევების ფონზე, საყურადღებოა თანასწორობის უფლების დაცვის კუთხით სისტემური, უფრო ფართო, ზოგადი გამოწვევები - დისკრიმინაციული ხასიათის განცხადებები, სახელმწიფოს სავარაუდო კავშირი სიძულვილის დანაშაულებთან, გაუარესებული კანონმდებლობა, არასათანადო პოლიტიკა და სიძულვილის დანაშაულებზე არაეფექტიანი რეაგირების გამო, უმცირესობათა ჯგუფების ნდობის ნაკლებობა სამართალდამცავთა მიმართ.

კრიტიკული მედიის მიმართ ზემოთ უკვე აღწერილი აგრესიული რიტორიკის გარდა, საგანგაშოა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავიანთ განცხადებებში უკვე პირდაპირ ახსენეს უარყოფითი კონოტაციის, დისკრიმინაციული ხასიათის ტერმინი „ლგბტ პროპაგანდა“,[118] რომელიც პოლიტიკურ-პოპულისტურ ინსტრუმენტად ჰომოფობიის გამოყენების საფრთხეს წარმოქმნის.[119] ასეთი განცხადებები ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს. კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, რომ უმაღლეს დონეზე მკაფიოდ გამოხატოს ნულოვანი ტოლერანტობა სიძულვილის დანაშაულებისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის მიმართ.[120] ამასთანავე, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიშის მიხედვით, კომისარი გაოცებული იყო მაღალი რანგის ხელისუფალთა მიერ გამოხატული არატოლერანტობის გამო.[121] ანგარიშში კომისარმა საგანგებოდ მიუთითა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ უნდა გამოიყენონ სიძულვილის ენა და, ასევე, საჯაროდ უნდა დაგმონ სიძულვილის ენის შემთხვევები, მათ შორის, მაშინაც, როდესაც სიძულვილის ენას იყენებენ რელიგიური ლიდერები.[122] გარდა ამისა, ევროკავშირის გაფართოების ფარგლებში საქართველოზე ანგარიშში ევროპულმა კომისიამაც მიუთითა ჰომოფობიური სენტიმენტების პოლიტიკურად ექსპლოატაციაზე.[123]

თანასწორობის უფლების საზიანო რიტორიკის გარდა, ასევე საყურადღებოა შემთხვევები, რომლებშიც იკვეთება სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების სავარაუდო მონაწილეობა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებში. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება, მაგალითად, ტელეკომპანია „ფორმულას“ ერთ-ერთ დამფუძნებელზე თავდასხმა, რომლის მონაწილედაც ტელეკომპანიამ ამოიცნო, დააიდენტიფიცირა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებელი.[124] ასევე, აღსანიშნავია 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენები, რომელთა დაგეგმვა-განხორციელებაში, მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სავარაუდოდ მონაწილეობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.[125]

სამწუხაროდ, რეგრესია საკანონმდებლო დონეზეც. კერძოდ, 2023 წლის 21 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო თავდაცვის კოდექსი და მასთან დაკავშირებული კანონპროექტები.[126] ამ საკანონმდებლო ცვლილებებით არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს დაექვემდებარნენ სასულიერო პირები, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისა, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით გათავისუფლებულნი არიან როგორც სამხედრო, ისე ალტერნატიული სამსახურისგან.[127] შედეგად, მართმადიდებელი ეკლესიისა და ყველა სხვა რელიგიური ორგანიზაციის/გაერთიანების სასულიერო პირებს შორის წარმოიქმნება განსხვავებული მოპყრობა, რომელიც, სამოქალაქო პლატფორმა „არა-ფობიას!“ პოზიციით, არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არღვევს კონსტიტუციით დაცულ თანასწორობის უფლებას.[128] შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები აუარესებს საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც ისედაც შეიცავს რელიგიური უმცირესობების მიმართ

128 იქვე.

დისკრიმინაციულ ნორმებს.[129]

თანასწორობის უფლების უზრუნველყოფა პრობლემურია პოლიტიკის დონეზეც. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოს არ აქვს ჩამოყალიბებული ცალკე მდგომი პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანიც იქნებოდა ჟურნალისტების, როგორც ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფის, წინააღმდეგ ძალადობის პრევენცია და აღკვეთა. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში საერთოდ არ არიან ნახსენები ლგბტ+ თემის წევრები.[130] შესაბამისად, კონკრეტულად თემის წინაშე არსებული სპეციფიკური გამოწვევები უგულებელყოფილია სტრატეგიაში. ლგბტ+ თემი არც ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაშია ნახსენები. ეს მიუთითებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე უმცირესობათა ყველა ჯგუფის საჭიროებები არ არის თანაბრად აღიარებული და გათვალისწინებული.

მწვავე პრობლემაა ასევე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება სიძულვილის დანაშაულებზე. ანგარიშის წინა ქვეთავებში აღწერილი შემთხვევები ადასტურებს, რომ სიძულვილის დანაშაულების გამოძიებები არაეფექტიანია, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება უმცირესობათა ჯგუფების ნდობაზე სამართალდამცავთა მიმართ. სახალხო დამცველის შეფასებითაც, „სამართალდამცავი უწყებების რეაგირება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობისა და დროულობის სტანდარტებს. დაბალია მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა მხრიდან სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობის მაჩვენებელიც“.[131] სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის ნაკლებობა სერიოზული გამოწვევაა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს უმცირესობათა წევრების მიერ სიძულვილის დანაშაულების შეტყობინებას და, შესაბამისად, გამოძიების დაწყებას. თუ მსხვერპლები უნდობლობის გამო არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, მაშინ სავარაუდო სიძულვილის დანაშაული დარჩება რეაგირების გარეშე, რაც წაახალისებს დაუსჯელობის სინდრომს.

სიძულვილის დანაშაულების მასშტაბისა და სისტემურობის აღსაქმელად და პრობლემის გადასაჭრელად, ასევე მნიშვნელოვანია სტატისტიკის აღრიცხვა. ამ მხრივ, მისასალმებელია, რომ უზენაესი სასამართლო, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებენ ერთიან სტატისტიკას. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სტატისტიკის წარმოებას აქვს ხარვეზები, რომელთა გამოსწორება მნიშვნელოვანია სრულყოფილ მონაცემებზე დაყრდნობით მისაღები ზომების დასაგეგმად.

საბოლოოდ, სიძულვილის დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად და ზოგადად თანასწორობის უფლების დასაცავად, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ნება და ბევრად მეტი, რეალური ძალისხმევა როგორც პრაქტიკაში, ისე საკანონმდებლო, პოლიტიკისა და საჯარო პოზიციონირების დონეზე.

129 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში 2022 წლის ანგარიში, გვ. 11-15, იხ.: *https://tdi.ge/sites/default/files/tdi_forb_report_2022_geo.pdf* [ბოლოს ნანახია 01.11.2023].

130 სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 187.

131 იქვე, გვ. 181.